EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 07 თებერვლის №08/01-08

განახლებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 25 აგვისტოს №05 დადგენილებით

სარჩევი

შესავალი 2

ინტერნაციონალიზაციის მისია 3

ინტერნაციონალიზაციის მიზნები 3

ინტერნაციონალიზაციის ამოცანები 4

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შეფასების ინდიკატორები 8

შესავალი

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მიმართულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობისა და მართვის პროცესების საერთაშორისო სტანდარტებთან და საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისკენ.

ინტერნაციონალიზაცია, როგორც უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტი გაცხადებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისიაში, ხედვასა და სტრატეგიაში. უნივერსიტეტი მოტივირებულია შექმნას და განავითაროს განათლების ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტებისათვის.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე შრომითი ბაზრისათვის რელევანტური საგანმანათლებლო ხარისხის უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზება განაპირობებს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების საერთაშორისო შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრებას კონკურენტუნარიან კადრებად და კვალიფიციურ სამუშაო ძალად.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება და დანერგვა ხელს შეუწყობს გლობალიზაციის პროცესებზე მორგებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას და უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას.

დოკუმენტის ძირითადი მიზანია, უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის თანმიმდევრული და ეფექტიანი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს დაწესებულების მისიის განხორციელებას.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მისია

მისია: ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მისიაა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანთლებლო სივრცესთან ინტეგრირება, კვლევებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, დემოკრატიული პრინციპების გამყარებისა და განმტკიცებისაკენ ორიენტირებული და მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების მატარებელი სპეციალისტების მომზადება.

ინტერნაციონალიზაციის მიზნები

მიზანი 1: ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ცნობადობის, ნდობისა და რეპუტაციის ამაღლება და უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება;

მიზანი 2: ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ღირებული ცოდნის შექმნა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და გარემოს უზრუნველყოფის გზით;

მიზანი 3: კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;

მიზანი 4: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიმზიდველობის გაზრდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან უმაღლესი განათლების მიღების მსურველთათვის.

ინტერნაციონალიზაციის ამოცანები

დასახული მიზნების მიღწევისთვის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. **ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ცნობადობის, ნდობისა და რეპუტაციის ამაღლება და უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება.**

   დასახული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს:

   1.1. უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომობა, რისთვისაც უნდა გაავრცელოს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის საერთაშორისო საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმებზეც;

   1.2. ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და პარტნიორული ქსელის გაფართოვება;

   1.3. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების პერსონალის მობილობას;

   1.4. კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული შესაძლებლობების შექმნა და მუდმივად იზრუნოს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებაზე. რისთვისაც:

   - მოახდინოს მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა-განვითარება;
   - ხელი შუწყოს პროფესიული განვითარების საერთაშორისო ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობას,
   - უზრუნველყოს უნივერისტეტის ბაზაზე საერთაშორისო ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ კვალიფიკაციების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორცილებას;
   - უნივერსიტეტის პერსონალის საერთაშორისო ფორუმებში, სიმპოზიუმებში, საგანმანათლებლო გამოფენებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებში მათი მონაწილეობა;
   - მოახდინოს საუკეთესო პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება და დანერგვა;

2. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ღირებული ცოდნის შექმნა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და გარემოს უზრუნველყოფის გზით.

დასახული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს:

2.1. განათლების ინტერნაციონალიზაციის გლობალური განვითარების მიზნების უნივერსიტეტის საქმიანობაში ინტეგრირება;

2.2. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლებას და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების პროცესი;

2.3. თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარება;

2.4. საერთაშორისო ექპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული გარე შეფასებას და შედეგების საფუძველზე მათი განვითარება;

2.5. საგანმანათლებო პროგრამების განხორციელებაში უცხოელი პედაგოგების მოზიდვა;

2.6. საერთაშორისო საგანმანათლებო რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფა/ზრდა;

2.7. სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მობილობის შესაძლებლობების შექმნა და განვითარება, რისთვისაც:

- სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ სწავლის/კვლევის (გაცვლითი სემესტრი, საზაფხულო-ზამთრის სკოლები და ა.შ.), ასევე გაცვლით პროგრამებსა და ერთობლივ პროექტში მონაწილეობის მიზნით უნდა ჩამოაყალიბოს პარტნიორული ქსელი საერთაშორისო უნივერსიტეტებთან.
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ერთობლივი პროექტების დაფინანსების მოპოვების მიზნით საერთაშორისო გრანტების/დაფინანსების მოპოვება (Erasmus+; Horizon და ა.შ.);
- მუდმივად იზრუნოს საერთაშორისო სტიპენდიების, ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლებაზე.

3. კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

დასახული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა:

3.1. უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებისას საერთაშორისო კვლევითი სტანდარტების დანერგვა, მათ შორის კვლევის ეთიკის სტანდარტების;

3.2. ისწრაფოს რათა განახორციელოს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები;

3.3. მუდმივად იზრუნოს საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროების მოძიებასა და ადგილობრივი და საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობაზე;

3.4. განავითაროს საერთაშორისო პარტნიორების/ექსპერტების ჩართულობით განავითაროს სადოქტორო კვლევები, აგრეთვე უზრუნველყოს სადოქტორო კვლევების მიმართულებით უცხოელი პროფესორების ჩართულობა;

3.5. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საერთაშორისო ასპარეზზე მათი კვლევების ხელმისაწვდომობის ზრდას. რისთვისაც:

- მოახდენს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების ორგანიზებისა და აკადემიური პერსონალის მათში მონაწილეობის მხარდაჭერას;
- ხელს უწყობს და წაახალისებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაციების გამოქვეყნებას.
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალის მხარდაჭერას საერთაშორისო სამეცნიერო პორტალებზე („Google Scholar”; Scopus და ა.შ.) მათი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით.

4. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიმზიდველობის გაზრდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან უმაღლესი განათლების მიღების მსურველთათვის

დასახული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს:

4.1. სხვადასხვა საინფორმაციო და მარკეტინგული კამპანიების განხორცილება საერთაშორისო ბაზრებზე;

4.2. საერთაშორისო ფორუმებში, სიმპოზიუმებში, საგანმანათლებლო გამოფენებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა;

4.3. საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების იდენტიფიცირება, საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრებისა და უცხოელო დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა;

4.4. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების/კვალიფიკაციის სამიზნე ქვეყნებში აღიარების მიზნით განახორციელოს სამიზნე ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაციისა ან/და რეგისტრაციის პროცედურების გავლა;

4.5. განავითაროს უცხოენოვანი საგანანმანათლებლო პროგრამები;

4.6. შექმნას უცხოელ კურსდამთავრებულთა ქსელი;

4.7. უზრუნველყოს უცხოელი სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული სერვისებისა და მხარდამჭერი პროგრამების განხორცილება. რისთვისაც:

- უნდა ითანამშრომლოს დიპლომატიურ კორპუსთან, მიზნობრივ სახელმწიფოებში არსებულ საქართველოს საელჩოებთან და სხვა პარტნიორებთან.
- განავითაროს და გააღრმაოს საერთაშორისო სააგენტოებთან თანამშრომლობა;
- მხარი დაუჭერსო უცხოელი სტუდენტებს სტუდენტური გაცვლითი პროგრამებში ჩართვას;
- შესთავაზოს და მხარი დაუჭიროს უცხოელი სტუდენტების საერთაშორისო პარტნიორების ან/და ექსპერტების მიერ შეთავაზებულ ღონისძიებებში, პროექტებში და აქტივობებში ჩართულობას;
- ხელი შეუწყოს უცხოელი სტუდენტებს ადგილობრივ საგანმანათლებლო და სოციალურ გარემოში ინტეგრაციას;
- უზრუნველყოს უცხოელი სტუდენტების მხარდამჭერი და საქართველოში ადაპტაციის მექანიზმების განვითარება.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შეფასების ინდიკატორები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და სტრატეგიული განვითარების განუყოფელი ნაწილია. პოლიტიკის დოკუმენტი მუდმივად ვითარდება უნივერსიტეტის საჭიროებებისა და განვითარების კვალდაკვალ.

პოლიტიკის განხორციელების შეფასების მიზნით, გამოიყენება შეფასების შემდეგი **ინდიკატორები**:

i. ბრენდის ცნობადობის ზრდა ქვეყნის გარეთ;
ii. უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი და თანამშრომლობის შინაარსი;
iii. უნივერსიტეტის საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში წევრობის მზარდი მაჩვენებელი;
iv. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების/კვალიფიკაციის აღიარების მიზნით სხვა ქვეყნებში ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის მზარდი მაჩვენებელი.
v. ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შესახებ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობა და მათი ჩართულობის ზრდის მაჩვენებელი წინა წლის მონაცემებთან მიმართებით;
vi. სტუდენტების კვლევის (ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტები) შედეგებით მათი კმაყოფილების მაჩვენებელის ზრდა წინა წლის მონაცემებთან მიმართებით;
vii. კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები წინა წლის მონაცემებთან მიმართებით;
viii. პერსონალის კვლევის შედეგებით მათი კმაყოფილების მაჩვენებელის ზრდა წინა წლის მონაცემებთან მიმართებით;
ix. საერთაშორისო კვლევით საქმიანობაში ჩართული აკადემიური პერსონალის მზარდი ოდენობა / საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების მზარდი მაჩვენებელი;
x. აკადემიური პერსონალის განმავითარებელი საერთაშორისო აქტივობების რიცხვი, მასში ჩართული პერსონალის მზარდი მაჩვენებელი;

xi. სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით მობილობის მაჩვენებლები და მონაწილეობის დინამიკა;
xii. მოზიდული უცხოელი პროფესორების მზარდი მაჩვენებელი;
xiii. მოპოვებული გრანტები;
xiv. საერთაშორისი სტუდენტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია;
xv. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და აკადემიური წლის განმავლობაში დაგეგმილს მიღმა განხორციელებული საერთაშორისო აქტივობების მაჩვენებლები.